საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL
AFFAIRS OF GEORGIA

KA030115738153517

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/12043 **28 / თებერვალი / 2017 წ.**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო თქვენი 2017 წლის 10 თებერვლის №01/4759 წერილის პასუხად, რომელიც ეხება სამინისტროს პოზიციას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირების საკითხს, გაცნობებთ შემდეგს:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2006 წლის 13 დეკემბრის ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია" მოცემულ ეტაპზე რატიფიცირებული აქვს მსოფლიოს 172 ქვეყანას, ხოლო შესაბამისი ფაკულტატური ოქმი მხოლოდ - 92 ქვეყანას. აღნიშნული ოქმის რატიფიცირება დღემდე არ მოუხდენიათ ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ირლანდია, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, შვეიცარია, აშშ და სხვა.

ცხადია, რომ ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება ხელს შეუწყობს შშმ პირთა უფლებების რეალიზაციასა და კონვენციით მოცემული პრინციპებისა და ღირებულებების სრულფასოვან იმპლემენტაციას, მით უფრო, რომ ოქმის რატიფიცირება მონაწილე ქვეყნების მოქალაქეებს სახელმწიფოს მხრიდან კონვენციის რომელიმე დებულების დარღვევის შემთხვევაში, საშუალებას აძლევს ადგილობრივ დონეზე სამართლებრივი დაცვის მექანიზმების ამოწურვის შემდეგ გაეროს შშმ პირთა კომიტეტს პირდაპირ მიმართონ. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებები, რომ აღნიშნული კომიტეტის გადაწყვეტილებების შესაბამისად, სახელმწიფოს ეკისრება დამატებითი ვალდებულებები და პასუხისმგებლობები, და ამასთან, მომჩივანის მხრიდან გაწეული სამართალწარმოების ხარჯების ადეკვატური კომპენსაციისა და ანაზღაურების ვალდებულებაც ყველა კონკრეტულ შემთხვევაში.

თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგენთ კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებების რამოდენიმე მაგალითს კერძო საჩივრებთან დაკავშირებით:

<u>უნგრეთი -</u> შეტყობინების თემა: უსინათლო და მცირედმხედველი შშმ პირებისათვის ბანკომატების მომსახურებაზე შეუფერხებელი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ბანკის სხვა კლიენტებთან თანასწორობის საფუძველზე. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს დაეკისრა: ბანკომატების საშუალებით საბანკო სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და შესაბამისი მინიმალური სტანდარტების შემუშავება, აღნიშნულის გათვალისწინება ეროვნულ კანონმდებლობაში და საჭირო პერსონალისთვის შესაბამისი ტრენინგების ჩატარება.

<u>შვედეთი -</u> შეტყობინების თემა: დისკრიმინაციის ფაქტი რეაბილიტაციისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების თანაბარ შესაძლებლობასთან დაკავშირებით - სახელმწიფოს მხრიდან უარის თქმის შემთხვევა გადაადგილების უნარის შეზღუდვის მქონე შშმ პირისათვის საცხოვრებელი სახლის ადაპტაციისათვის, კერძოდ

ჰიდროთერაპიის აუზისთვის საჭირო ფართის შენობის მიშენებისთვის ნებართვის გაცემაზე. მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფოს დაეკისრა შესაბამისი ღონისძიებების გატარება იმ მიმართულებით, რომ ქვეყნის კანონმდებლობას აღარ ჰქონდეს შშმ პირთა მიერ ადამიანის ყველა უფლების სხვებთან თანასწორად, ცნობის, რეალიზების, ან სარგებლობის ხელის შეშლის ან მათი უარყოფის მიზანი ან შედეგი.

<u>ავსტრია -</u> შეტყობინების თემა: საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობისას საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის, ასევე, ინდივიდუალური მობილურობისა და დამოუკიდებელი ცხოვრების უფლების შეზღუდვის ფაქტი იმ მიზეზით, რომ უსინათლო შშმ პირებისათვის ტრავმის ახალი მესამე ხაზის სარკინიგზო ქსელის ციფრული აუდიო სისტემებით აღჭურვა დაგვიანდა (დანარჩენ ორ ხაზზე სისტემა გამართულად მუშაობდა). ამ შემთხვევაშიც სახელმწიფოს დაეკისრა ვალდებულებები დაუყოვნებლივ გამოესწორებინა არსებული ხარვეზი, უზრუნველყო საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა მხედველობისა და სხვა ტიპის დარღვევების მქონე ყველა პირისათვის შესაბამისი აღჭურვილობით, განეხორციელებინა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და საჭირო პერსონალისთვის ჩაეტარებინა შესაბამისი ტრენინგები.

ზემოთმოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ ფაკულტატური ოქმის რატიფიცირების პროცესი მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან გაზრდილ პასუხისმგებლობას და დამატებით ვალდებულებებს, როგორც საჯარო ასევე, კერძო სექტორში, სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურების შეთანხმებულ გადაწყვეტილებას დამატებითი რესურსებისა და ფინანსების გამოყოფაზე, ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასა და შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ მუშაობაზე. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება განხორციელდეს გაეროს შშმ პირთა კომიტეტის მიერ საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი პირველი ანგარიშის განხილვისა და შესაბამისი რეკომენდაციების მიღების შემდეგ.

მინისტრის მოადგილე ვალერი კვარაცხელია